გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 34

2024 წლის 11 მარტი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 66.52.23.004), პირობიანი აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 9 ნოემბერს შემოსულია განცხადება (№ 19/2023313249-20), რომელშიც პურის საცხობის გახსნის მიზნით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.52.23.004 მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (ძველი წისქვილის შენობა) სარგებლობის უფლებით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2024 წლის 22 იანვრის N 007-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.52.23.004 (დაზუსტებული ფართობით - 194.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი - 100.08 კვ.მ), მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი ახალუბანი, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 9000.00 (ცხრა ათასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ხოლო მისი აღნაგობის ხელშეკრულებით გაცემის შემთხვევაში, გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება შესაბამისი თანხით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, სოფ. ახალუბანში არსებული მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 66.52.23.004) პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, გაცემული იქნას სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის,

საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, განისაზღვროს ქონების საწყისი საპრივატიზებო ფასი და საწყისი ყოველწლიური ქირის ოდენობა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.დ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით გასცეს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.52.23.004 (დაზუსტებული ფართობით - 194.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საერთო ფართი - 100.08 კვ.მ), მისამართი: გორის რაიონი, სოფელი ახალუბანი, სარგებლობის უფლებით, აღნაგობის ფორმით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.52.23.004 (დაზუსტებული ფართობით - 194.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი - 100.08 კვ.მ), საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს: 9000.00 (ცხრა ათასი) ლარით.

3. საწყისი წლიური აღნაგობის საფასური განისაზღვროს 960 (ცხრაას სამოცი) ლარით.

4.აღნაგობის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 15 (თხუთმეტი) წლის ვადით.

5. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი:

ა) ს/კ 66.52.23.004 უძრავ ქონებაზე 2 (ორი) წლის ვადაში მოეწყოს პურის საცხობი, ასევე, მოწესრიგებულ იქნას მიმდებარე ტერიტორია.

ბ) შენობამ დანიშნულებისამებრ დაიწყოს ფუნქციონირება 2 (ორი) წლის ვადაში. მშენებლობის პროექტი შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სივრცითი მოწყობის და არქიტექტურის განყოფილებასთან.

გ) მიწის ნაკვეთზე ხაზოვანი ნაგებობის არსებობის შემთხვევაში, აღნაგობის უფლების მქონე პირზე გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, ხაზოვანი ნაგებობის დაცვის წესის შესახებ.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**